

ბიზნეს სუბიექტები... 2014 (9)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის სექტემბრის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 4 200 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 97.5% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 2.5% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.960 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. სექტემბრის თვეში ზრდა დაფიქსირდა წინა თვესთან (36.3%-ით), ხოლო კლება - წინა წლის იმავე თვესთან (2.6%-ით) შედარებით.

2014 წლის სექტემბრის თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 36.1%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 42.5%-ით გაიზარდა. განსხვავებული ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის კლება 2.3%-ით და არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის კლება 14.0%-ით.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.964 და 0.819 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. სექტემბრის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (2 484 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 59.1%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 517 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 36.1%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 95.2% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 102 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 69 კოოპერატივი, 18 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, 8 სააქციო საზოგადოება და 2 უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი.

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... სექტემბერი, 2013-2014

(ბ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2014



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა
სექტემბერი, 2013-2014**

ინდიკატორები	ზ.ე.	სექტემბერი	
		2013	2014
რაოდენობა			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	4192	4096
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	121	104
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	4313	4200
სტრუქტურა			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	97.2	97.5
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	2.8	2.5
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	20.8	36.1
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-30.5	42.5
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	18.4	36.3
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	56.5	-2.3
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	89.1	-14.0
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	57.3	-2.6
ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.986	0.964
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.953	0.819
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	0.985	0.960
რაოდენობა			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	2796	2484
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1	0
კოოპერატივი	ერთეული	8	69
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1375	1517
სააქციო საზოგადოება	ერთეული	5	8
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	0	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	7	18
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	119	102
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	2	2
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	0	0

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2014

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ՀՌԲԵԿՆԸՆԻ ԻՃԹՈՆԱԿԱՄՈՒՆ ՕՅՈՒՆ ԸՈՒՏԱՆՈՎՅԱՆ... 2010-2014
ՆԵՏԻՈՒ ՀՌԲԵԿՆԸՆԻ ՆՃԹՈՆԱԿԱՄՈՒՆ (ԺԻՏԻՎՈՐ)

